გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 30
(11 691)

25 – 28 აპრილი (პარასკევი – ორშაბათი), 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

სამ სახეობას გზა დაულოცეს

გუშინ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში უჭვრელი პრესკონფერენცია გაიმართა. უჭვრელო ის იყო, რომ სპორტის სამი სახეობის წარმომადგენლებს, რომლებიც ამ დღეებში სხვადასხვა პასუხისაგებ შეჯიბრებებზე მიემგზავრებიან, ერთდროულად მოუხდათ წარდგომა მასმედიის წინაშე. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ნოვაციამ გააკვირვლა, რადგან ინფორმაციით სამგზის დახუნძლულებმა მიაშურეს თავიანთ რედაქციებს ჟურნალისტებმა.

სამბოს ოსტატები ბუდაპეშტში მიემგზავრებიან, ძიუდოისტები - ლუკსემბურგში, ორივე ნაკრება ევროპის პირველობაზე იასპრიზებს, მშვილდოსნებს კი ხორვატიაში მიეელან გრან-პრის ტურნირზე. აი, ამ სამთაობაზე ინფორმაციის მისაწოდებლად უხმეს ჟურნალისტებს.

ოლეგ იაძე — მთავარი მწვრთნელი სამბოში: „1-5 მაისს ბუდაპეშტის ქალაქ ალდენში ტარდება ევროპის ჩემპიონატი სამივე ასაკში. ნაკრებში მზადება გაიარა თითს ბაზაზე. მოგზაურებით, არაოფიციალური სპორტა ვართ და თანის უქონლობას განვიცდით. ევროპისათვის მზადება არ გაგვიარა, ტურნირებში არ გამოვსულვართ, სპარტაულ ჩემპიონატიდან პირდაპირ მივემგზავრებით ამ დიდ შეჯიბრებაზე. გავიარეთ 15-დღიანი სასწავლო-საწვრთნო შეკრება, მაგრამ ბუნების მომზადება ორ კვირაში გამორიცხულია. შეეცდებით შეინარჩუნოთ ტრადიციები და 4-5 მედალი ჩამოვაბრუნოთ. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო დღეგანდელ სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას დაფინანსებისთვის. 15 სპორტმენებე გამოვეყავი დეპარტამენტმა თანხა, დანარჩენ 15 სპორტმენზე შესაბამისმა რაიონებმა გაგვიწიეს დახმარება".

ქეთევან ლოსაბერიძე — საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი: „ფედერაციამ გადაწყვიტა იმ თანმებით და შესაძლებლობით, რაც ჩვენ გაგვაჩნია, მხოლოდ ქალა ნაკრები გუნდი მოვამზადოთ ოლიმპიური თამაშებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ქალა ნაკრება მოიპოვებს ლიცენზიას და გამოვა ათენის ოლიმპიურ თამაშებში. ამ მზადებისათვის ჩვენ გასავლელი გვაქვს ვრან-პრის ტურნირების სამი ეტაპი. პირველი — 5-10 მაისამდე ხორვატიაში, ვეფხისტყაოსნის სპორტის დეპარტამენტი, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით. მომზადებას რაც შეეხება გვქონდა ერთი სასროლეთი ვაყის პარკთა და ლოკომოტივის სტადიონზე შორის და გაგვოცდა. წლების განმავლობაში სპორტის ამ სახეობას მხოლოდ აპარატ უცილებელია. განვითარდა და მდიდარ დონეზე ავიდა.

შოთა ხაბარელი — ძიუდოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „სპორტის ამ სახეობისგან განსხვავებით, ჩვენ ორი წლით ადრე დავიწყეთ ლიცენზიებისთვის მზადება და შეჯიბრებებზე გამოსვლა. ვეძებ საერთაშორისო ტურნირზე მივიღეთ მონაწილეობა ამ სამთვინ მონაკვეთში. გავიარეთ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ორი ეტაპი და ნორმალურად მიდის საქმე. ქვეყნა წონით კატეგორიაში პირველ ათეულში ვიმყოფებით ევროპაში. 60 კგ-ში ხერგიანი პირველ ადგილზეა, მარგარეთი ლიდერია 66 კგ-ში, მძიმე წონაში ხანდაღიშვილი მესამეა, 100 კგ-ში ჯიქურაული მეოთხე, ზვიადური — მეორე. შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის, რომელიმე წონით კატეგორიაში გარანტირებული გვაქვს ადგილი. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს, დღეს დავიმთავრდა შეკრება ბორჯომში, მანამდე ყოველი ბაკურიანში, მაისს ვიწყებთ ისევ ბორჯომში შეკრებას და 13-ში გავემგზავრებით გერმანიაში.

ნაკრებში შედიან: ხერგიანი (60 კგ), მარგიშვილი (66), ქეჭებაშვილი (73), 81 კგ-ში ახალგაზრდა სპორტსმენს მინდა ბოდავეულს ვამხვანთო, ზვიადური (90), ჯიქურაული (100), ხანჯალიშვილი — მძიმე. გადაწყვეტილი არ გვაქვს ვის გამოვიყვანთ ახსოლუტურ წონით კატეგორიაში. შეგვიფრანა დავითაშვილის ტრავმამ. შეიძლება მის მაგივრად ისპარტოს რაჰას ჩიჩუშვილმა. ევროპის ჩემპიონატზე ჯერ ჩატარება პირადული შეჯიბრები. გუნდური პირველობა ცალკე გაიმართება ინტერესში.

თამუნა ჯანავრდაშვილი
ლაშა გოგია

შეკრებაზე ბელარუს, ბერძენ და ებრაულ ფალავანებთან ერთად



საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდაობის ეროვნული ნაკრები უფროსი მწვრთნელის ბეგი დარიას ხელმძღვანელობით მინსკში გაემგზავრა, სადაც ჩვენები სანერთო შეკრებას გაივლიან ევროპის ჩემპიონატის წინ. ეს შეკრება იმითაცაა ზნიშვნელოვანი, რომ აქ ერთდროულად ოთხი ქვეყნის ნაკრები მოემზადება — მინსკში ჩავლენ აგრეთვე საბერძნეთისა და ისრაელის გუნდები. მასპინძლები სპანგებოდ მოემზადნენ სტუმრების მისალებად.

ევროპის ჩემპიონატი გაიმართება იუგოსლავიაში 23-25 მაისს.

საქართველოს ეროვნული ნაკრები მინსკში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა.

ირაკლი ჯოჯუა (55), აკაკი ჩაჩუა და ლაშა ლომაძე (ორივე — 60), მანუჩარ კვირკველია (66), ბადრი ხასაია (74), მიხეილ ვახტანგაძე (84), რამაზ ნოზაძე (96), მირიან გიორგაძე (მძიმე). ჯოჯუა, ხასაია და ნოზაძე თბილისიდანაა, კვირკველია და ლომაძე — ოზურგეთიდან, გიორგაძე — თერჯოლიდან, ვახტანგაძე — ბათუმიდან, ჩაჩუა — სამტრედიიდან.

ყველაზე ტრამა. სალეთაშორისო ტურნირი

მიითვალეთ ანგარიშში...

გავიხსენოთ გასული წლის ნოემბერი. მაშინ სტრასბურგიდან სამართველოს წყალმტმელთა გუნდი შინ 19 მედალი დაბრუნდა. ახლა მოხდა მეორე სასწაული — უნგრეთის ქალაქ ზოლნოკში გამართული თელ საერთაშორისო ტურნირში, ამ კვეყანაში წყალტრამის ფუნქციონალის ბაღაბალას თასზე სპორტსმენის წარგზავნილმა მოიპოვეს 14 მედალი, აქედან — 9 ოქროსია, 3 — ვერცხლისა და 2 — ბრინჯაოსი. 9 მედალი, ანუ ნახევარი ოქროს 18 მედლიდან! ტარნირიო 9 ქილო შეიდა კვეყანამ გაიხარეა. ჩვენები გუნდურ ჩათვლაშიც უძლიერესები იყვნენ და ამ ტრადიციული ასპარეზობის მთავარი პრიზი თბილისში ჩამოტანეს. უნგრელები ძალიან შეეცადნენ სპპატიო ჯილდო თავიანთი კვეყნიდან არ გასულიყო, მაგრამ სპორტსმენები ჩასული ტურნირის დებიუტანტები ისე მალე იდგნენ ოსტატობით,, მასპინძლები მეორე ადგილ შეურიგდნენ, მესამე პოლონეთის გუნდი იყო, მეოთხე — ავსტრიის, მეხუთე — იტალიის, მეექსე — ჩეხეთის და ა.შ.

ტურნირზე, რომელიც მეშიდედ ჩატარდა და მეზეიშეში სამრატამოთ დაცულ პრიზზე და მეგრძივიალურ დიფზე პირველად ამოიკვეთა „2003 — სპარტიული". მიწვეულნი იყვნენ მხოლოდ 12, 14 და 16 წლამდე ასაკის გოგონები და ბიჭუები.

16 წლამდე ბიჭთა შორის პოლა ჯანტურიამ სამიე პროგრამაში მოიპოვა მეოთხე. ოქროსი — მეოთხე.

ბარკინდან: სოფიო ჭუმბურიძე, სალომე ჭკუასელი და ნინო ყიფიანი (ბათუმელები)

3 მეტრიან ტრამპლინიდან და 5 მეტრიან კოშკურიდან ხტომაში, ვერცხლისა — ერთ მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობაში. ამავე ასაკში დაიკი ფიცავე უძლიერესი იყო 1 მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში, მეორე — 3 მეტრიანიდან. 14 წლამდე ასაკში, სალომე ჭუკუასელი პირადაპირ სასწაული მოახდინა — სამივე პროგრამაში (1 და 3 მ. ტრამპლინი, 5 მ. კოშკური) სამი ოქროს მედალი მოიპოვა. 12 წლამდელთა შეჯიბრებაში საერთაშორისო

ლუკა ბოლოძე და ანანო ბუთხუზი

შეჯიბრებების დებიუტანტმა რეკორდი მოდებამემ ორი „ოქრო" (3 მ. ტრამპლინი, 5 მ. კოშკური) დაიმსახურა, ნინო ყიფიანემ ერთი „ვერცხლი" (1 მ. ტრამპლინი) და ერთი ბრინჯაო (3 მ. ტრამპლინი), ჯესიკა მელიქოვამ — ერთი „ოქრო" (5 მ. კოშკური), სოფიო ხუციშვილმა "ვერცხლი" (3მ. ტრამპლინი). ეს ტრენერის კიდევ ერთი უმაღლესი შეფასებით აღინიშნა. საქართველოს გუნდის მწვრთნელი და წარმომადგენელი ირაკლი ბართაია მსაჯობდა კიდეც და მის სამსაჯო ბართაში მორიგი „ოქროდი" ჩაიწერა.

„წლეულ კიდევ რამდენიმე ავტორიტეტულ შეჯიბრებაზე ვართ მოწვეულნი, რადგან რეიტინგით უძლიერესებია შორის ვიმყოფებით. სამწუხაროდ, ფინანსური შესაძლებლობები არ გაგვაჩნია. ამჯერადაც 5 ბავშვი ოჯახმა დაიფინანსა, ერთი — სალომე ჭუკუასელი — ოლიმპიური მზადების ცენტრმა, რომლის დირექტორია გ. ფუდესიანი. მე და ორი სპორტსმენი კი ნახევრები ფულით წყვდით უნგრეთში" — გვითხრა ი. ბართაიამ.

წლეულსვე, ივლისში ჩვენები ევროპის ჩემპიონატზე არიან მიწვეულნი.

ნ. ბაძრაძე

ნომერში წაიკითხავთ:

- შვიდწლიანი ომი მოღვრეებლები უეგზავიცირდნენ...
- „დინამო" 80 წლისაა
- უეხგურთში დისციპლინა ისევ ხლება მსჯელობის საგანი
- 101 ვარჯიში ნორჩი ფეხბურთელებისთვის
- ემთავარია გოლი იყოს, მის ილაპაზეს ვინ ჩივის
- ერთი კაცი თამაშს ვერ მოიგებს
- კრისპორდი. საქადრაკო ამბავია...

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ახალგაზრდა სპორტსმენთა დაჯილდოსა და მათ ფიზიკურ მომზადებაში მეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის სვეტიცხოვლის სკოლა „ნორჩი დინამოს" მწვრთნელი, სპორტის ოსტატი **თამაზ სახვაძე** დაჯილდოდეს ღირსების ორდენით.

ჯიხაიშელთა «ჯიკო» ჩემპიონია

გუშინ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის სპორტულ დარბაზში დამთავრდა საქართველოს ქალთა ნიჭიერიონის ფრენბურთში. პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს 2003 წლის ნიჭიერიონის ჩემპიონის კოლეჯის „ჯიკო", რომლის მწვრთნელთა ნუგზარ მიქაძე. მეორე ადგილზე გავიდა შავი ზღვის უნივერსიტეტის გუნდი, მესამეზე — დუშეთის ნაკრები. გამარჯვებულისა და პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონიალზე გამოცხადდა, რომ ნუგზარ მიქაძეს საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა.

სამტრედია. ტელეგუნთი.

აბგას დაცარიელება ხომ არ ემუქრება?

ორი ღირსსახსოვარი თარიღი ერთმანეთს დაემთხვა: ერთდროულად, დიდი ხნის შემდეგ, თბილისს კლავე დაუბრუნდა საქართველოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში და მეორე — შეიქნა სპორტის ამ სახეობის თბილისის დედაქალაქში დაბრუნების ერთ-ერთი ნაბიჯი. ვიცარიელებთ, რომ ამ ორ ფრონტზე ერთდროულად ვერ ვიბრძოლებდით, ამიტომ ჩვენ ამ ორ ამოცანას ერთ-ერთი ასე ვუწოდეთ, რადგან ამ ორ ამოცანას ერთი საერთო ნიშანი აქვს: ორივე მათგანი ეხება ჩვენი სპორტის ისტორიას, ჩვენ ისტორიას, ჩვენ წარსულს, ჩვენ ტრადიციებს, ჩვენ ფესვებს.

ეს ფესვები ჩვენ ბევრი გვაქვს, ბევრი ტოტი გამოგვიყვანია ამ ფესვებიდან, ბევრი ნაყოფი მოგვიწია, ბევრი ტოტი გაგვიტეხია, ბევრი ფესვი გაგვიფუჭებია, ბევრი ნაყოფი გაგვიფუჭებ

„დინამო“ 80 წლისაა

გასული საუკუნის ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში, საბჭოთა სპორტსმენის, ცრცხილ, საქართველოს დინამოელთა მიღწევები აღემატებოდა მსოფლიო რეკორდებს, მაგრამ არ ხდებოდა მათი დაშტამპვა სპორთშორისო ფედერაციების მიერ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საბჭოთა სპორტს ოფიციალურად არ აღიარებდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. (სოჭ, მაგრამ 1945 წელს ფაშისტურ გერმანიაზე ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ, სსრ კავშირის ატლეტიკები იმდენად ამაღლდა საერთაშორისო ურთიერთობის ყველა სფეროში, მათ შორის სპორტში, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გვერდის ვეღა უკვე შეეძლებელი იყო. 1946-1947 წლებში საბჭოთა სპორტსმენის გამარჯვებები ევროპის ჩემპიონატში იმდენად სარწმენო იყო, რომ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის გარეშე, ობიექტურად ვერ გამოვლინდებოდნენ კონტინენტისა და პლანეტის უძლიერესი სპორტსმენები.

XV ოლიმპიადამ 1952 წელს, რომელიც პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენებისთვის, დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა საბჭოთა დელეგაციას, რომლის შემდგენლობაში მაღალ შედეგებს მიაღწიეს საქართველოს სპორტსმენებმა. მათ შორის დინამოელები მზია ჯუღელი (სპორტული ტანვარჯიში) და რაფიელ ჩიმიშკიანი (ძალოსნობა) ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. საქართველოს დინამოელთა მონაწილეობა ოლიმპიურ და საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში, ერთი ოლიმპიური ციკლიდან მეორეზედ, სულ უფრო ფართოვდებოდა. ათწლეულის, ჭეშმარიტად ათასწლეულის, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების „დინამოს“ ორგანიზაციებში მომზადდნენ გამოჩენილი სპორტსმენები, რომელთა სახელოო ოჯახს ასოებით ჩაიწერა საბჭოთა, ქართველ და „დინამოს“ სპორტის ისტორიაში. დღეს თითოეული მათგანი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას და ღრმა პატივისცემას.

ოთარ ჭორქია, რობერტ შავლაყაძე და ვიქტორ სანეევი დაჯილდოვდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. ჭიდაობის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა, 16 წლის ასაკში, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ქალთა შორის მაია ჩიბურდანიძე (1978-1991), საბჭოთა სპორტსმენებიდან მსოფლიო პირველი ჩემპიონის (სპორტი) ტიტული მოიპოვა ომარ ფხაკაძემ, რომელიც 1965 წელს ვლადისპორტის საერთაშორისო კავშირმა აღიარა მსოფლიო საუკეთესო ვეტერინარად. ზურაბ საყანდელიც და ოთარ ჭორქია (ალპინიზმი) იყვნენ საბჭოთა კავშირის იმ ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც ოლიმპიადების ისტორიაში პირველად მოიპოვა (1972) ოქროს მედლები, პირველად მოეცა რა ამ-ის ნაცვლად გუნდს. საბჭოთა სპორტსმენებიდან მხოლოდ ალექსანდრე მეტრეველმა შეძლო ეთამაშა უიმპლონის საჩოგბურთო ტურნირის ფინალში ერთეულოვნა თანრიგში. ასეთი მაგალითის მოტანა მრავლად შეიძლება. თითოეულ სპორტსმენზე ცალკეული ბევრი კეთილი და თბილი სიტყვები შეიძლება იოქვას, თითოეულმა მათგანმა ამა თუ იმ საშვილიშვილო ეპიზოდში ჩაიგინა სპორტული გმირობა. შედეგი ფეხი სპორტული ოლიმპიის მწვერვალზე იყო რბენილი რბენილი შორის. ეს უკვე სპორტული გმირობაა. დაუვიწყარია ჩვენთვის აგრეთვე ყველა თაობის დინამოელთა მიერ განცილი გზა და წარმატებები.

საზოგადოება „დინამოს“ ფეხბურთის სრული უფლება აქვს მარჯვნისგულად ითვლებოდეს ქართული ფეხბურთის განვითარების ისტორიაში. თბილისის „დინამოს“ ისტატთა გუნდს ყოველთვის ყველა მოწინავეთა პოზიციაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელოვან კოპირატში.

საბჭოთა ფეხბურთის უმაღლეს ეშელონში თბილისის „დინამომ“ გამოცდა დაიწყო 1936 წლის სეპტემბერში და დასრულა 1989 წელს. 1990 წლიდან იგი მონაწილეობს დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში.

თბილისის დინამოელები ორჯერ იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონები (1964 და 1978 წ.წ.), ხუთჯერ მეორე, ცამეტჯერ კი მესამე პრიზიორები. გუნდის თავისებურ რეკორდსმენად ითვლება ლოლობერიძე, რომელმაც სსრ კავშირის ჩემპიონატში თითმაზე ყველაზე მეტი მატჩი — 341 (1424-დან). ის ითვლება საუკეთესო ბომბარდირად, სულ დინამოელთა 2176 გოლიდან გაიტანა — 127, ერთ ჩემპიონატში გატანილი გოლების რეკორდიც ა. ლოლობერიძის ეკუთვნის — 25 (1950 წ.).

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ორჯერ (1976 და 1979 წ.წ.) მოიგო სსრ კავშირის თასი და ექსპერტი იყო ფინალისტი გამსაკუთრებული წარმატებით გუნდი გამოდიოდა გასული საუკუნის ომამდელ (1940 წ.) და 70-80-იან წლებში. ბრწყინვალე გარჯისუბა მაიდროდა გუნდმა ევროპის ჯვრების თასების მფლობელთა თასის გათამაშება 1981 წელს. ამასთან, არაერთგზის მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასის და უეფას თასის გათამაშებაში.

წლის საუკეთესო ფეხბურთელებად ოთხჯერ დასახელდნენ ლ. ყიფიანი (1977), რ. შენგელაია (1978, 1981); ა. ჩიკვაძე (1980). 44 ფეხბურთელი 130-ჯერ შედიოდა, წლების მიხედვით, სსრ კავშირის 33 და 55 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში, მათ შორის 50-ჯერ პირველ ნომრად. რეკორდსმენად კი გვევლინება მ. ხერკილაძე, რომელიც 10-ჯერ, აქედან 5-ჯერ პირველ ნომრად იყო დასახელებული, 8-ჯერ ა. ჩიკვაძე, აქედან პირველ ნომრად 7-ჯერ.

სსრ კავშირის ნაკრებში გამოიყოდა თბილისის „დინამოს“ 25 ფეხბურთელი, ბევრი მათგანი ნაკრების წევრადაც მოთამაშე, მისი ბურჯი და დასაყრდენი იყო. მ. მესხის, ს. მეტრეველს, გ. ჩოხელის, მ. ხერკილაძის, დ. ყოფანაძის, რ. შენგელაის, ვ. დარაქველის, ა. ჩიკვაძის, თ. სულაქველიძის, ვ. გუდუშაურის სახელები შესულია საბჭოთა ფეხბურთის ოქროს ფონდში.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი გელა ყიფიანი თბილისის „დინამოდან“ ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში 1988 წელს, სეულში.

მარცხნიდან - ოთარ ჭორქია, ზაქარეიშვილი და ნოდარ ყორღანაია

ბევრმა დინამოელმა ფეხბურთელმა დიამსახურა საერთო საბაღო სიცარცით და პატივისცემა. მათ სახელები გადაეცემა თაობიდან თაობას, ისინი ახსოვთ და უფასო გულშემატკივრებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ბევრ ქვეყანაში, ვისაც კი თუნდაც ერთხელ ხედა ბედნიერება ენახა საქართველოს დინამოელთა თამაში, ენახა ვეტერანების — ვ. მარღანიას, ნ. ძიაშვილს, გ. ანთაძის, ა. ჭყონდიდელის, გ. ხოკონაძის, შ. იამანიძის, ქ. ასათიანის, გ. და გ. სიჭინავების, ვ. ბარქამაძის, ზ. კალოევის, ა. და ს. კოტროკაძეების, ი. დათენაშვილის, ო. გაბელიას, რ. ურუმაძის, ჯ. ზეინკლიშვილის, მ. მაჩაიძის და სხვათა ოსტატობა. მათი სახელები სამარადჟამოდ დარჩება საქართველოს მოსაწყინოს გულებში და მეხსიერებაში.

სხვადასხვა წლებში სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანი იყვნენ თბილისის „დინამოს“ მოთამაშეები ა. ლოლობერიძე, გ. ჩოხელი, მ. ხერკილაძე, გ. ჩიტაიძე.

დინამოელთა კოლექტივში მომზადებული სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი — 32, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი — 5 (ფ. ცომაია, ა. ჟორდანია, ნ. ჩხატარაშვილი, ნ. ახალაია, ე. ელოშვილი). საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი — 20-ზე მეტი.

თბილისის „დინამოს“ გუნდის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივად დაყვანშირებულია ა.ა. სოკოლოვის (ომამდელი წლები), ა.დ. ჟორდანიას, გ. ი. იაკუშინის, გ.დ. კაჭარიანის და განსაკუთრებით, ნ.ფ. ახალაიის სახელთან.

„დინამო“! „დინამო“! „დინამო“!

მუდამ დარჩება სამპარად მოცე მსოფლიოში ამ საბედნიერო გუნდისთვის, რომელიც წარმატებით გამოდის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. დღეს ბევრი დინამოელი ფეხბურთელი წარმოადგენს ქართული ფეხბურთის განუმეორებელ ისტატობას და კოლორიტს ჰალეტის სხვადასხვა კლუბში, პრესტიჟიულ თუ ნაკლებად პრესტიჟიულ გუნდებში.

საინტერესო და მეიღარი სპორტული ისტორია გაანნია აგრეთვე თბილისის „დინამოს“ მეორე სახელოვან კოლექტივს — კალათბურთელთა გუნდს. გუნდის ჩამოყალიბება და პირველი გამარჯვებები, რომელიც ალის 30-იან წლებიდან იღებს საათვეს, წარმატებით გრძელდებოდა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე. დროის ამ ისტორიულ მონაკვეთში თბილისის „დინამო“ რჩებოდა სამაღლო კალათბურთის ფლაგმანად სსრ კავშირში.

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი ოთხ-ოთხჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი (1950, 1953, 1954, 1968), მეორე პრიზიორი (1947, 1960, 1961, 1969), მესამე (1948, 1952, 1965, 1977) წლებში და ოთხჯერ მოიგო სსრ კავშირის თასი (1949, 1950, 1951, 1969). ორჯერ იათამაშა ფინალში (1953, 1973).

გუნდი წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ყველაზე მაღალ შედეგს მიაღწია 1962 წელს, როცა ფინალში ევროპის ჩემპიონთა თასზე სძლია „ჟველი სამყოს“ ისეთ საკალათბურთო გრანდს, როგორიცაა მადრიდის „რეალი“.

მაგრამდა 1971 წელი, როცა არაბელ სამყაროში კონფლიქტის ჩაწყვანების შემდეგ, სსრ კავშირმა დაიწყო ურთიერთობების მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მათ შორის ირაკლისასთან. როგორც ცნობილია, სცენის ხელოვნების და სპორტის ოსტატები ასეთ შემთხვევებში პოზიტიურ როლს თამაშობენ, როგორც საბაღო დიპლომატის წარმომადგენლები. სსრ კავშირის სპორტკომიტეტი ამიღს გადაწყვეტილება ირაკლისაში გაეგზავნათ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი. ეს იყო ამ ქვეყანაში სსრ კავშირის პირველი საბჭოთა დელეგაცია. ირაკლის გუნდის ოსტატობის დონე ცხადია, ვერ შეედრებოდა „დინამოსას“, მაგრამ ბევრი გუნდში თამაშობდნენ მ. ჭორქია, ლ. ჯ. ინწკირველი, ლ. მოსულიშვილი, ა. ჭიჭინაძე, ზ. ჭანტურია, ნ. ახალაია, ა. ჭელიძე, ნ. ჩხატარაშვილი, ნ. ახალაია, ე. ელოშვილი, ვ. გუდუშაური, ზ. ჭანტურია

ლოკომოტივმა „ზოკეულო" ჩამოაკვეთა

თბილისური მატჩით დასრულდა მეორე ეტაპის პირველი წრე. მატჩი, რომელმაც ერთპიროვნულად გაიმარჯვებულ თბილისის „დინამოს" წისქვილზე დაასხა წყალი. ახლა „დინამო" „ლოკომოტივსა" და „ტორპედოსაც" შეიდი ქულით უსწრებს. თუმცა ეს ფაქტორი, რანინგზელებს ნაკლებად აწუხებდათ, მათთვის მთავარი მოგება და სამი ქულა იყო. სხვა შემთხვევაში ცაყარიასის შეგირდები ჩემპიონობისთვის ბრძოლასა და სიგრძეზე, სპრინზო ადგილზე გასელას შანსსაც კარგავდნენ. აქედან გამომდინარე, მასპინძლები თავიდანვე დასახლდნენ სტუმრთა ნახევარზე და რამდენიმე შეტევის შემდეგ გოლიც გაიტანეს. კუთხურიდან ჩაშოულებულ ბურთს ზუსტი თავებით ორბებლაძემ ქუთაისელთა კარში მიუჩინა ადგილი.

გოლის შემდეგ „ტორპედოს" ვითარება ოდნავ გამოასწორა, თუმცა ტაიმის ბოლომდე სირაძის შეტევის და იონანიძის საპასუხო იერიშისა საინტერესო არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმში ბურთს უფრო ხშირად „ტორპედო" ფლობდა, მაგრამ საგოლე იერიშამდე საქმე არ მისულა. თამაში დაბალ ტემპში მიმდინარეობდა და მატჩითა ცარიან ხიშეთი იშვიათად იწყნარებდა. მატჩის ბოლო წუთებზე სტუმარ-მასპინძელმა, თითო-თითო შეტევა გაუსვეს და... სულ ეს იყო.

მიმართულებით.

შემოთავაზებული ვარჯიშების სისტემატური გამოყენება და სპეციალისტის მისი მოდიფიკაცია (მაგალითად, უძლიე ბურთზე დარტყმებისას დიდი ან შემსუბუქებული ბურთის გამოყენება ან ბურთის შეჩერება დარტყმამდე) ამცალით ბიგზების რეზერვი, რომ მათ შესწევთ ამ ილეთების შესრულების უნარი, რის შემდეგ შეიძლება ვარჯიშის ტემპის გაზრდა.

ვარჯიში 71

ამოცანა. დარტყმა კარში ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ.

ორგანიზაცია და შენაარსი. მოედანზეა მოთამაშეთა ჯგუფი ნომრით 1-დან 6-ის ჩათვლით. №1-მკარე, №2 — ასრულებს ჩაწოდებას ფლანგიდან, მესამე ნომერმა უნდა დარტყას 9-16 მ. მანძილიდან, დანარჩენები დებიან მწკრივში. №2-ს უნდა ჰქონდეს ბევრი ბურთი და იგი ერთიმეორის მიყოლებით ასრულებს დაბალ ან მაღალ ჩაწოდებებს. დასარტყმელ პოზიციაზე ყოველი ცალის მომდევნოს, მაგალითად, №3 დგება კარში, №1 აწვდის ფლანგიდან, №2 დგება მწკრივის ბოლოში ხოლო დასარტყმელ პოზიციაზე გადის №4.

ინვენტარი: ბევრი ბურთი, ერთი დგარი.

რეკომენდაცია. მიწოდება სრულდება ორივე ფლანგიდან, თავად მომწოდებელს შეუძლია დადგეს მოედნის კიდეში, რითაც გაართულებს ვარჯიშს.

ვარჯიში 72

ამოცანა. დარტყმა კარში თავით ფლანგური გადაწოდების შემდეგ.

ორგანიზაცია და შენაარსი. დახლობით 20X30 მ. მოედანზე დგება კარებები, რომელსაც იცავს მეკარე. ორი ჯგუფი სამ-სამი მოთამაშით თითოეულში დგება ფლანგური გადაწოდების მიმღები. ორგანიზაცია და შენაარსი. დახლოებით 20X30 მ. მოედანზე დგება კარებები, რომელსაც იცავს მეკარე. ორი ჯგუფი სამ-სამი მოთამაშით თითოეულში დგება პირობითი შეა ხაზზე და კიდეს ორი ასეთი ჯგუფი განლაგდება საწინააღმდეგო კუთხეებში. ჩაშიმწოდებელი დიდი რაოდენობის ბურთებით ადგილს იკავებს ორ სხვა კუთხეში. მომწოდებელი ასრულებს გადაცემას ჯგუფების მიმართულებით რიგ-რიგობით, მიმღებები კი ცდილობენ დარტყან კარში. ოთხი ჯგუფი ძუნძულით შემოუტრენს კარს ისე, რომ შეუჩერებელია, საინთერესო გავიდნენ ფლანგიდან ჩაწოდებაზე, დადგენილი დროის მონაკვეთში. ყველა ჯგუფი ითვლის და ანგარიშობს გატანილ ბურთებს.

ინვენტარი. ოთხი დგარი, ორი გადასაბარი კარი, დიდი რაოდენობის ბურთები.

რეკომენდაცია. მოთამაშეთა როლები იცვლება, რათა ყველას ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა გაკეთოს გადაცემა და თავადაც დარტყას თავით.

მალაკოლმ კუკი
გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „ლელო" №7-29





თავი 7
ფლანგური გადაცემები და შეტევის დასრულება

თამაშის ეს ორი ელემენტი — სახელდობრ, გადაცემა ფლანგიდან და მისი დასრულება კარის ალებით — მთავარი და უცვლელი მოთხოვნაა ფეხბურთში და ამ ილეთების შესწავლა მოზარდებისთვის სულაც არაა იოლი. მწვრთნელი უნდა აღიჭურვოს მოთმინებით და გაგების მოეკიდოს ობიექტურ სინხელეებს, როცა ჯაბუტებს ასწავლის ამ ილეთებს, სხვაგვარად ის სწორად ვერ აღწერს თავის მოქმედებას აქ შემოთავაზებული ვარჯიშების ათვისებაში.

ბავშვებს, რომლებსაც პრინციპში უკვე დაფენებული აქვთ „პირდაპირი" დარტყმა, განსაკუთრებით უჭირთ გამოიყენონ მოქრით დარტყმა, მით უფრო, მოაწოდონ ბურთი თავზე პარტნიორს, რომელიც სერთოდ, გარბის სულ სხვა მიმართულებით. საამისოდ აუცილებელი თვისებები, როგორიცაა წონასწორობა, თვალზომა, კოორდინაცია, საჭიროებს დაუღალავ წვრთნას, არანაკლებ სირთულეს წარმოადგენს დროული გაცვლა სწრაფად მოახლოებად ბურთზე და შესაბამისი დარტყმა მასზე მიწიდან ფრენში ან თავით კარის

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ბობი რობსონი: „ყველა თამაში უნდა მოვიგოთ“

ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ნიუკასლის“ მთავარმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა განაცხადა, რომ მისმა შეგირდებმა აუცილებლად უნდა მოიგონ პრემიერ-ლიგის წლევანდელი სეზონის ბოლო სამი შეხვედრა, რათა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზონ.

— „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „არსენალმა“ უკვე გაიანღეს ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის უფლება. მესამე საგზურისთვის ცხარე ბრძოლა მიმდინარეობს ჩვენსა და „ჩელსის“ შორის. მაზის მისაღწევად ჩვენ შევლილი გამარჯვებები გვაძლევს ხელს“, — ამბობს რობსონი.

70 წლის მწვრთნელის აზრით, მისი შეგირდები შეძლებენ დასახული ამოცანის შესრულებას, რადგანაც დანარჩენ ტურებში ხვდებიან აუტსაიდერებს: „სანდერლენდსა“ და „ვესტ ბრომვიჩს“, აგრეთვე პრემიერ-ლიგის სატურნირო ცხრილის შუაში მყოფ „ბირმინგემს“.



უვე რესლერი კიბოთი გარდაიცვალა

34 წლის ასაკში, კიბოთი გარდაცვალა გერმანიის დემოკრატიული ნაკრებისა და ინგლისური საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი თავდამსხმელი უვე რესლერი. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ გასულ კვირაში რესლერმა ნორვეგიელი „ლილესტრიომის“ შემადგენლობაში ითამაშა ამ კლუბის ჩემპიონატის სასტარტო მატჩში და გოლიც გაიტანა. მატჩიდან მეორე დღეს მან თავი შეუძლოდ იგრძნო და ექიმებს მიმართა. მკურნალობის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ ფეხბურთელი გარდაიცვალა.

პაპარი კვლავ ლაგეიის ნაკრებშია

ინგლისური საფეხბურთო კლუბ „საუთემპტონის“ თავდამსხმელი მარიან პაპარი დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ გამოძახებას ლატვიის ნაკრებში, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ელის სან-მარინოს გუნდთან.

მომდინარე სეზონი პაპარისათვის ცუდად დაიწყო, ტრავმის გამო ბევრი მატჩი გააცდინა. იანვარში მას ფეხის კოჭზე ქირურგიული ჩარევა დახჭირდა. პაპარი არცთუ კარგ ფორმაშია ამჟამად და არც იხაა ცნობილი, ითამაშებს თუ არა სან-მარინოს ნაკრების წინააღმდეგ, მაგრამ ლატვიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვმა მაინც გამოძახება იგი ხსენებთან ერთად.

— გვინდა რომ გუნდში სასიამოვნო ატმოსფერი შევინარჩუნოთ, მარიან პაპარახი კი ნაკრებისათვის მეტად საჭირო ადამიანია, — ამბობს სტარკოვი.

აზერბაიჯანს, შესაძლოა, უეფას წევრობა აღუდგინონ

უეფამ გააცხო ოფიციალური განცხადება, რომლის თანახმადაც, ამ ორგანიზაციის წევრობა აღუდგება აზერბაიჯანს იმ შემთხვევაში, თუ უახლეს დღეებში ჩვენი მეზობელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მეტ ორგანიზებულობას გამოიჩენს და მოაგვარებს საშინაო ჩემპიონატის საქმეებს.

ფერგიუსონი ფეხბურთელებს ამხნევებს

მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ საერთო ჯამში დამარცხების მიუხედავად, მატჩი მადრიდელებთან არასოდეს დაითვლება, რადგან ეს იყო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ევროტურნირებში. „ევროპული ჩარმოვიდევნები ასეთ შედეგს. მე შეამაყება ჩემი შეგირდებს, რომლებმაც ბოლომდე იბრძოლეს. მაყურებლებმა ღამაზი ფეხბურთი იხილეს“.

«ბლექბერნს» ამორუზოს შეძენა სურს

ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ბლეკბერნ როვერსის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სურს „გლაზგო რეინჯერსის“ კაპიტნის ლორენსო ამორუზოს შეძენა. ამორუზო 31 წლისაა, თუმცა ასეთი ასაკის მიუხედავად ბრწყინავე სპორტულ ფორმაშია.

„ჩვენ ვიცით, თუ რას წარმოადგენს ეს მოთამაშე და ამიტომაც ვიგულებთ ინტერესს მის მიმართ“, — ამბობს „ბლეკბერნის“ თავკაცი ჯონ უილიამსი.



თარიღი

იოჰან კრუიფი

1947 წლის 25 აპრილს დაიბადა ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდა ოთ ან კრუიფი, რომელიც ჩამატებით თამაშობდა „აიაქსის“, „ფეენუორდი“ და „ბარსელონას“ შემადგენლობაში. ჰოლანდიის ჩემპიონატის ოქროს მედალი ცხრაჯერ მიიღო, ნ-ჯერ მოიპოვა ქვეყნის თასი, იყო აგრეთვე ესპანეთის ჩემპიონიც და ამ ქვეყნის თასის ფლობელიც. ევროპელი ფეხბურთელებიდან პირველი იყო, ვინც სამჯერ ცნეს კონტინენტის საუკეთესო მოთამაშედ.

კრუიფი ჩემპიონთა თასის სამჯზის მფლობელიცაა, 1972 წელს მოიპოვა სუპერთასიც და საკონტინენტთაშორისო თასიც.

ჰოლანდიის ნაკრებში 49 შეხვედრა ჩაატარა და 34 გოლი გაიტანა, 1976 წელს გახდა ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. ორი წლით ადრე კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

იოჰან კრუიფის თვალსაჩინო თვისება იყო სისწრაფე. ის სწრაფი იყო არა მხოლოდ მოძრაობაში (30 მეტრ მანძილს ფეხბურთელი 3,8 წამში ფარავდა), აზროვნებაშიც: მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეთა გასაკვირად, კრუიფი ყოველ წამში ცვლიდა მოძრაობის მიმართულებას, იყო ნამდვილი ორგანიზატორი საფეხბურთო მოედანზე, ახასიათებდა ზუსტი პასები და უძლიერესი დარტყმები.

პეზრესკუ ქარიერას ასრულებს

რუმინული ფეხბურთის ვარსკვლავმა დან პეტრესკუმ განაცხადა, რომ მალე დაასრულებს მოთამაშის კარიერას და მწვრთნელობას შეუდგება. ამჟამად პეტრესკუ მოთამაშეა მწვრთნელი ბუქარესტის „ნაციონალში“. თავის დროზე ეი ნარმატებით იცავდა „სტიაუას“ ღირსებას 10 წლის განმავლობაში — თამაშობდა იტალიური „ფიორენტინა“ და „ჯენოაში“, ინგლისის „შეფილდ იუნაიტედსა“ და „ჩელსიში“. რუმინეთის ნაკრების ღირსება 95 მატჩში დაიცვა და 12 გოლი გაიტანა.

ფეხბურთელ პოლიციელებს თასს დაუსხა

ესპანური საფეხბურთო კლუბ „სევილიას“ თავდამსხმელი ნიკოს ბაკოსი ადგილობრივმა საგზაო პოლიციელებმა დააკავეს საგზაო მოძრაობის წესების უხეში დარღვევის გამო. საბერძნეთის ნაკრების მოთამაშე საკუთარი მანქანით მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა.

როცა პოლიციელებმა ანიშნეს, გაჩერებინა მანქანა, მხალამა კიდევ უფრო უმატა სიჩქარეს. პოლიციელები დაეწივნენ და მანც გააჩერეს ფეხბურთელი. ამის შემდეგ მხალამი თავს დასხა ოფიცერს, რომელიც მის დაკავებას ცდილობდა.

საერთოდ, ესპანური გაზეთები ალნიშნავენ მხალამის ფიცხელ ხასიათს, იგი ამ რამდენიმე კვირის წინ „აიაქსში“ არენდით გადასცა „სევილიას“, თუმცა საბერძნეთის ნაკრების წევრი ესპანური ტურნის სათადარიგოთა სკამს არ გასცილებია.

— მე „სევილიაში“ სათამაშოდ მოვედი და არა სათადარიგოთა სკამის სახუნად. ვიმედოვნებ, რომ გუნდის ხელმძღვანელობა მომცემს თავის გამოჩენის შანსს, — ამბობს ნიკოს მხალამი.

გარდაიცვალა იური ვოინოვი

72 წლის ასაკში გარდაიცვალა საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავი იური ვოინოვი. კიევის „დინამოს“ გუნდში საოცრებათაოდ აღიარებულ ბეკრ ფეხბურთელს უთამაშია. მათ შორის იყენენ ისეთებიც, რომელთა სახელის ხსენებას აღტაცებაში მოაყვდა ფეხბურთის ულსშემტკივრები. ასეთია რიცხვე ეკუთნოდა ვოინოვი. ის იყო ევროპის 1960 წლის ჩემპიონი, მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა 1961 წელს, ერთი წლით ადრე კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

იური ვოინოვი — ეს იყო კიევის „დინამოს“ ისტორიის მთელი ეპოქა. ის გუნდის ჭეშმარიტი ლიდერი იყო. სულ კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში ვოინოვმა 174 მატჩი ითამაშა და 22 გოლი გაიტანა. საბჭოთა ნაკრებში 26 მატჩი აქვს ჩატარებული 5 გატანილი გოლით. მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატზე, საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსება 5 მატჩში დაიცვა წარმატებით და ის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ ვოინოვი მწვრთნელი გახდა და ხელმძღვანელობდა კიევის „დინამოს“, ოდესის „ჩერნომორეცს“, ნოვოსავოსკის „სუდოსტროიტელს“, დონეცკის „შახტიორს“, ხარკოვის „მეტალურგს“, კიევის ცსკა-ს და შეკეტოვკას „ტემპს“.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ვოინოვი აქტიურად მონაწილეობდა უკრაინის საფეხბურთო ცხოვრებაში — შუშაობდა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში.

ლეგიონერი

მთავარია გოლი იყოს, მის სილამაზეს ვინ ჩივის

კიევის საფეხბურთო კლუბ „არსენალში“ წარმატებით თამაშობს ქარიგეული ფორვარი შალვა აფხაზავა, რომელსაც უკრაინის მთელი არე ჩემპიონატში უკვე 13 გოლი აქვს გატანილი. აქედან 5 გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი „არსენალისათვის“. ჩვენი გაზეთის მეთხვეველისათვის საინტერესო უნდა იყოს შალვა აფხაზავას მიერ უკრაინელი ჟურნალისტებისათვის მიცემული ინტერვიუ.

● *შალვა, თუ შეგიმჩნეთაო, რომ შენს მიერ გატანილი ბევრი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდება ხოლმე?...*

— ამას არსებით მნიშვნელობას არ ვაძლევ. ჩემთვის მთავარია, „არსენალმა“ გაიმარჯვოს და სასიამოვნოა, რომ მეც წვლილი შევიძინეთ გუნდის წარმატებაში.

● *უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში ოდესის „ჩერნომორეცთან“ ულამაზესი გოლი გაიტანეთ...*

— არც სილამაზეს ვაქცევ ვერაფერს, მთავარია ბერთი მეტოქის კარის ბაღში გაგზავნის.

● *ეთანხმები თუ არა, ზოგიერთი სპეციალისტის აზრს, რომ ჩემპიონატის მეორე წრეში თქვენი გუნდი უფრო ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს თავდასხმაზე და ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავს?*

— არ ვეთანხმები. ჩვენ შემტევ ფეხბურთის ვთამაშობთ, თუმცა არც კარის დაცვას ვივიწყებთ. ვიმეორებ, ჩვენი პრიორიტეტი თავდასხმის ხაზია.

● *რამდენად გაართულა თქვენი ფუნქცია ალიგელ წრესთან ბრძოლამ?*

— ჩვენ ახლა ფავორიტები ვართ და ყველა გუნდი ეხმაზოდა გვეთამაშება. „არსენალის“ ფორვარდებს მე და კოვალჩუკს წინააღმდეგობით თავისუფლად მოვმედებით არე ალარ გვაქვს. მეტოქე გუნდის მცველები მჭიდროდ გვეთამაშებიან, ზშირად პერსონალური მეურეობასაც მიმართავენ, — მოკლედ, საშინ თავდასხმებელებად გვეფიქრებ.

● *უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ხართ. ამ მხრივ როგორი გეგმები გაქვთ?*

— ისევ გოლებზე მეკითხებით? მთავარი „არსენალის“ გამარჯვებაა და არა გოლის ავტორის ვინაობის გარკვევა.

● *რომელ ადგილს უმიზნებთ უკრაინის წლევანდელ ჩემპიონატში?*

— ამაზე ახლა არ ვილაპარაკებ. ჩვენ თითოეულ მატჩში გამარჯვებისათვის ვიბრძოლებთ, და თუ რომელ ადგილზე გავალთ, ეს ჩემპიონატის ფინიშზე გაირკვევა.

ჩემპიონთა ლიგა

1/4 ფინალი. განმეორებითი მატჩები

მანჩესტერი – რეალი 4-3 (1-3)

მანჩესტერი: ბარტეზი, ოში, ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი (79 ფორლანი), ვერონი (63, ბეკჰემი), ბატი, ჯინი (82, ფორპუნი), გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიერი.

რეალი: კასილასი, მიჩელ სალგადო, ივან ჯელერა, იერო, რობერტო კარლოსი, ფიგუ (88. პაუოსი), მაკელელე, ზიდანი, მაკმანამი (69 პორტიელო), რონალდო (67 სოლარი), გუტი.

გოლები: 0-1 რონალდო (12), 1-1 ვან ნისტელროი (43), 1-2 რონალდო (50), 2-2 ივან ჯელერა (52-საკარშე), 2-3 რონალდო (59), 3-3 ბეკჰემი (71), 4-3 ბეკჰემი (84).

არბიტრი: პიერ ლუიჯი კოლინა (იტალია)

მაყურებელი: 63.000.

მილანი – აიაქსი 3-2 (0-0)

მილანი: დიდა, შიმჩი (83. ტომპსონი), ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, ბრაკი, ამბროზინი, რუი კოშტა (85. რეონდო), კალაძე (80. რივალდო), შევჩენკო, ინძაგი.

აიაქსი: ლიბონტი, ტრაბელსი, პასანენი, კოუე, ვან დემი (46. ლიტმანენი), იაკუბუ, სნეიდერი, ობრაიენი, პიენარი (84. დე იონგი), ვან დერ მეიდე (89. ბერგჰოლმი), იბრაჰიმოვიჩი.

გოლები: 1-0 ინძაგი (30), 1-1 ლიტმანენი (63), 2-1 შევჩენკო (65), 2-2 პიენაარი (78), 3-2 ტომპსონი (91).

არბიტრი მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი).

მაყურებელი: 67 000.



ანრისტერი – რეალი

ნბა

NBA

მხოლოდ ერთი კაცი თამაშს ვერ მოიგებს

ნბა-ს ალმოსავლეთ კონფერენციის მედგარპერანგიანი აღმოჩნდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ „დეტროიტის" კალათბურთელებმა ვერ მოახერხეს „ორლანდოს" ღიდერის, პრეული მატჩის გმირის — ტრეისი მაკგრედის (მან ამჯერად 46 ქულა შეიძინა „ორლანდოს") შეჩერება, მაინც შეძლეს 12 ქულით დამარცხებინათ მეტოქე — 89:77.

„არ შემიძლია თამაში მარტომ მოვიგო, მეც მჭირდება დახმარება," — განაცხადა მატჩის შემდეგ გაბრაზებულმა მაკგრედმა, რომლის თანაგუნდელებმაც საერთო ჯამში მხოლოდ 31 ქულა მოაგროვეს...



ყველაფერი პირველივე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც „დეტროიტმა" 31:14 მოიგო. ასეთი სხვაობის ღიკვიდირება „ორლანდოს" მეხუთე მატჩის განმავლობაში ვერ მოახერხა. „დეტროიტის" წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ბილაშსა და ტოლას, რომელთაგანაც თითოეული 5 ქულის სხვაობით სძლია „ნიუ ორლეანს" 90:85. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო ალენსონი, რომელმაც 29 ქულა დააგროვა.

მაკგრედის ბედი „გაიზიარა" უდღესგან, რომელმაც 45 ქულა შეიძინა „პორტლენდს", თუმცა, ამით ამ უკანასკნელს მაინც არაფერი ეშველა — დამარცხდა „დალასთან" 99:103.

ევროლიგის ნაკრებები კანდიდატები

ევროპის ქვეყნების სპორტული გამოცემების ჟურნალისტებს შორის ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგების მიხედვით ცნობილი გახდა კალათბურთში, ევროლიგის ნაკრების კანდიდატების ვინაობა, ხიმპოლური გუნდის ნინასწარი შემადგენლობა ასე გამოიყურება:

ფორვარდები: დეივ ბოდიროგა („ბარსელონა"), ხორხე გარბახოსა („ბენეტონი"), ანდრე ნოჩიონი („ტაუგრესი"), მირსად თურკანი („სიენა").

ცენტრფორვარდები: ვიქტორ ალექსანდერი (ცსკა), ნიკოლა ვუიჩიჩი („მაკაბი").

მცველები: მარკუს ბრაუნი („ეფეს პილსენი"), ტაიეს ედნი („ბენეტონი"), ალფონსო ფორდი („სიენა"), მილან ვუიანჩიჩი („პარტიზანი").

რიი ჯრინსმა კრივის მსოფლიო საბჭო გაკოტრებამდე მიიყვანა



მსოფლიო საბჭომ (ცბა), რომელიც ერთ-ერთი პოპულარული იყო სპორტის ამ სახეობის სხვადასხვა ფედერაციებს შორის, გაკოტრების პროცესი დაიწყო. ამის მიზეზი გახდა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ცბა-მ 31 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს გერმანელ მოკრივეს გრაციანო როკუანის.

ცბა-ს გაკოტრების პროცესი ხელს აძლევს, რადგან ამ პროცესის სწორად გაგლის შემთხვევაში გათავისუფლება ასეთი სოლიდური თანხის გადასახდისაგან, ხოლო იურიდიულ სახეს კვლავაც შეინარჩუნებს და ბრძოლის ჩატარების უფლებაც ექნება.

ცბა-სა და გრაციანის ურთიერთობის ისტორია საკავე იღებს 1998 წლიდან. ამ დროისათვის მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ, ცბა-ს ვერსიით ჩემპიონობა ორი ჯონსის ოფიციალურად განაცხადა, რომ ტოვებს ნახევრადმძიმე წონით კატეგორიას და ამიერიდან სუპერმძიმეწონასანთა კატეგორიაში იასპარეზებს. ცბა-ს ხელმძღვანელობამ ირწმუნა ჯონსის სიტყვები და ნახევრადმძიმე წონაში მსოფლიოს ახალი ჩემპიონის გამოსაელინად დანიშნა ორთაბრძოლა როკუანისა და ამერიკელ ნანს შორის. ეს ორთაბრძოლა 1998 წლის 21 მარტს შედგა და იტალიური წარმოშობის „გერმანელი" მოკრივის გამარჯვებით დასრულდა. გრაციანო როკუანი მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადდა და ცოტა ხანში რიი ჯონსმა გადაიფიქრა სუპერმძიმე წონაში გადასვლა. ცბა-მ არც აცილა, არც აცხელა, — ჯონსი ჩემპიონად დაპირება, ხოლო გრაციანის ტიტული გაიუქმა. ამ უკანასკნელისადმი მიწერილ მიმართვაში ცბა-ს ხელმძღვანელობამ „ტოპოგრაფიული შეცდომა" უწოდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გრაციანო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის შეებრძოლა ამერიკელ ნანს, ცბა-ს განცხადებით, როკუანის მსოფლიო ჩემპიონობა „დროებით" ჰქონდა მინიშნებული. ცხადია, გრაციანო როკუანიმ სასამართლოს მიმართა და მოითხოვა ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება, ყურადღებით მორალური ზარალის ანაზღაურება. ნიუ-იორკის სასამართლომ 31 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა ცბა-ს კომპენსაციის სახით. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებაზე უკვე აღარ არის საუბარი, მით უმეტეს, რომ ასეთი ოდენობის თანხის მილების შემთხვევაში გრაციანო როკუანის სხვა არაფერი პრეტენზია აღარ ექნება კრივის მსოფლიო სახელ წინაშე. ცბა-ს ხელმძღვანელობა მიიჩნევ, რომ მოელენების ასეთი განეთიარების თავი და თავი რიი ჯონსია, რომელმაც წელს მიატოვა ეს ორგანიზაცია, გადავიდა სუპერმძიმე წონაში და ცბა-ს ცერსით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულაც დაეუღება.

ტაისონი მოსკოვში ჩავა

27 დეკემბერს, მოსკოვში, „ლუჟნიკის" სპორტულ დარბაზში დანიშნულია ორთაბრძოლა პროფესიონალ მოკრივეებს შორის მსოფლიოს ახსოლუტური ჩემპიონის ტიტულისათვის კრივის სამივე ორგანიზაციის ეგიდით. ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე უკვე ცნობილია — კონსტანტინ ცზიუ. მეტოქე კი გამოულინდება ივნისის შუა რიცხვებში. მოსკოვურ „შოუს" ბეური სააატიო სტუმარი ეყოლება, რომელთა შორის იქნება მაიკ ტაისონი. კონსტანტინ ცზიუს ბრძოლამდე, მოსკოვურ რინგზე რამდენიმე საჭეგნებელი შეხვედრა გაიმართება, დაგეგმილია ორთაბრძოლის ჩატარება მსოფლიოს ტიტულისათვის ჭალთა შორის.

ოლიგარქიული ჩემპიონი პოლიციამ დააკავა

9-ვოლ ოლიმპიური ჩემპიონი კარლ ღუისი ლოს-ანჯელესის პოლიციამ დააკავა. 41 წლის ღუისი ნასვამ მდგომარეობაში მართავდა მანქანას. გარდა ამისა, პოლიციელთა ყურადღება მიიპყრო იმანაც, რომ მანქანა ტექნიკურად მეტად გაუმართავ მდგომარეობაში იყო. კარლ ღუისი პოლიციიდან მალე გაათავისუფლეს.

„ოჰაჟა" ბორონცოვლა ბიზნესსა იყიდა

ტორონტოელმა ბიზნესმენმა იუჯინ შელნიცა ჟურნალისტებს ოფიციალურად განუცხადა, რომ მალე შეიძენს გაკოტრების გზაზე მდგარ ხბლ-ს გუნდს „ოტავას". ეს მაისის პირველ რიცხვებში მოხდება.

— „ოტავა" ყოველთვის იყო ჩემი ოცნების გუნდი, რომელიც შესანიშნავი სტაბილურობით და ორგანიზებულობით გამოირჩეოდა. მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, ეს გუნდი კვლავაც ითვლება სტენლის თასის მოპოვების ერთ-ერთ კანდიდატად," — განაცხადა შელნიცამ, რომელიც უახლოეს სამშაბათს „ოტავას" კრედიტორებს შეხვდება.

მნიშვნელოვანი სპორტული გაღაცემები



25 აპრილი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი. „ჭადრაკული ფეხბურთი" (14.45), *HTB плюс футбол* რუსეთის ჩემპიონატი „ლოკომოტივი" — „ტორპედო-მეტალურგი" (13.20), მიმოხილვა (15.00), „ფეხბურთ მუნდიალი" (16.00), თანი. ნახევარფინალი. სპასუხო მატჩი: „ბოავიშტა" — „სელტიკი" (16.30), სპასუხო მატჩი „ლაციო" — „პორტუ" (19.20), ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალური სპასუხო მატჩების მიმოხილვა (22.05), ლიბერტადორესის თასი. მეოქსმეტედფინალი. პირველი მატჩი (23.05).*HTB плюс спорт* კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (14.40), ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (17.55), ჰოკეი. სტენლის თასი. მეოთხედფინალი (22.35). *EUROSPORT.* სუპერკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.45), ჩოგბურთი „არტ". მეოთხედფინალი (18.00, 20.00).

26 აპრილი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ჩემპიონთა ლიგის კვარის მიმოხილვა (19.15). **იმედი.** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი სერია „ა". „რომა" — „მილანი" (23.30, 0.30 პირადაირი რეპორტაჟი). *HTB плюс футбол* „ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი" (13.15, 22.30), სერია „ა". 30-ე ტურის წინ. (15.25), „ფეხბურთ-მუნდიალი" (15.55), ინგლისის ჩემპიონატი. „ბოლტონი" — „არსენალი". პირადაირი ტრანსლაცია (16.25), გერმანიის ჩემპიონატი. პირადაირი ტრანსლაცია (18.25, 20.45), ესპანეთის ჩემპიონატი. პირადაირი ტრანსლაცია (0.25). *HTB плюс спорт* კალათბურთი. ნბა. ფლეი-ოფი. პირადაირი ტრანსლაცია (5.00, 11.45). ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1-ლი რაუნდი. რუსეთი — ხორვატია (14.40, პირდაპირი ტრანსლაცია). ამერიკული ფეხბურთი. ევროპის ლიგის ჩემპიონატი, პირდაპირი ტრანსლაცია (20.00) მაგიის ჩოგბურთი. სალონშორისო ტურნირი (0.00). *EUROSPORT.* ჩოგბურთი. „ატპ". ნახევარფინალი, პირდაპირი ტრანსლაცია (18.00, 2.45).

27 აპრილი კვირა

საქართველოს ტელევიზია. იმედი. სპორტული პროგრამა „ასი" (15.15), ფეხბურთი, იტალიის ჩემპიონატი. სერია „ა". „ინტერი" — „ლაციო". პირდაპირი რეპორტაჟი (23.30, 0.30). *HTB плюс футбол* გერმანიის ჩემპიონატი (13.25, 21.50), ესპანეთის ჩემპიონატი (14.55, 1.35), „ჩემპიონთა ლიგის ყურანი" (16.40), იტალიის ჩემპიონატი, პირადაირი ტრანსლაცია (17.55, 23.30), ინგლისის ჩემპიონატი „ტოტენჰემი" — „მანჩესტერ იუნაიტედი". პირადაირი ტრანსლაცია (20.00). *HTB плюс спорт* პროფესიონალური კრივი. მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის: ვასილი ჯირიგი — ჯეიმს ტუნი. პირდაპირი ტრანსლაცია (6.00, 11.45). ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1-ლი რაუნდი. რუსეთი — ხორვატია (13.55), საუდარაკო მიმოხილვა (20.30), დიდი-ჭუკუ კარატე-დო. მოსკოვის ღია თასი (22.30). სპორტული ცეკვები, რუსეთის ჩემპიონატი. ევროპის პროგრამით (0.00), ტანაღნდური კრივი (1.30). *EUROSPORT.* სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (7.45, 11.30), ველოსპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი (20.30), საცხენოსნო სპორტი (23.00), ჩოგბურთი „ატპ". ფინალი (0.00, 1.00).

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით ეუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტსახოგადოება „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე

ვახტანგ ოდიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით ეუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტსახოგადოება „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე

ვახტანგ ოდიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ჯვარედინი № 30

თარაზული: 1. „ფორმულა-1"-ის ავტომრბოლი „ჯორდანის" პილოტი, 4. სპორტის სახეობა, 5. სავარჯიშო იარაღი, 7. მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში, კრივში, 8. ქართველი მოჭადრაკე ქალი (სახელი), 11. „მილანის" „4" ნომერი, 12. „ჩელსის" თავდამსმელი, 13. სერია „ბ" გუნდი, 16. სპორტული იარაღი, 18. ქართველი ვეტერანი მოჭიდაე, 21. ჩემპიონთა ლიგის თასის ყველაზე მეტჯერ გამარჯვებული გუნდი, 22. ინგლისის მე-2 დივიზიონის გუნდი, 23. „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი, 25. „ლაციოს" ნახევარმცველი, 26. „დეპორტივოს" თავდამსმელი, 29. ნიგერიელი ფეხბურთელი, 31. ბრაზილიელი, ფეხბურთის მეფე, 32. „რომას" სპორტული სპონსორი, 33. ბრაზილიელი სუპერმცველი, 34. „მილანის" მცველი, 35. სპორტის სახეობა.

შვეულად: 1. „სანდერლენდის" ფორვარდი, 2. „რეალის" კარის დარაჯი, 3. „მანჩესტერ სიტის" თავდამსმელი, 4. კრივის მოედანი, 6. „მილანის" ფორვარდი, 9. რუსეთის საკალათბურთო გუნდი, 9ა. ლეგენდარული ქართველი მთამსელი. 10. ძალოსნობის ინვენტარი, 14. ლოთარ ..., 15. „რეალის" „9" ნომერი, 17. „ბრეშას" კაპიტანი, 19. 1981 წ. თასების თასის გამარჯვებული, 20. ფეხბურთელი ვინჩენცა ..., 24. „ლაციოს" ფორვარდი, 26. „რომას" ბრაზილიელი ნახევარმცველი, 27. „რომას" მწერთნელი, 28. ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 30. ინგლისის არისტოკრატიული საფეხბურთო კლუბი, 33. ბილიარდის ჯოხი.

ჯვროსვორდი № 29-ის პასუხები:

თარაზულად: 2. კრესპო, 4. „ნაპოლი", 6. რაული, 8. „პუმა". 11. ტრისტანი, 12. ონილი, 13. კიევი, 15 კანდელაკი, 19. გლაზგო, 21. იტალია, 22. ბლანი, 23. მარადონა, 25. „ნანტი", 26. ადასი.

შვეულად: 1. კორტი, 2. კასპაროვი, 3. გულიტი, 4. ნიპპონი, 5. პორტალეო, 7. ბატისტუტა, 9 მური, 10. მალდინი, 14. ანრი, 15. კოლინა, 16. კიგანი, 17. ტატამი, 18. სოლარი, 20. ზიდანი, 24. ნნა.

საქადრაკო კომპანია

ო. ბაისუღელიძე (სოფ. კაპანეანი)

შაბათი 2 სექაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. Ф5! შეკარა 2. ф6X
1. ...ge5 2. ge3X
1. ...gf3 2. ge4X
1. ...e5 2. gf7X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com